პროექტი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31იანვრის №1 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/02/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010210060.74.086.016001) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების დანართი 11-ით დამტკიცებული „ნაფიცი მსაჯულის (მსაჯულობის კანდიდატის) დღიური, სამგზავრო და სხვა პირდაპირი ხარჯების ანაზღაურების წესის“ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ნაფიც მსაჯულსა და მსაჯულობის კანდიდატს საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯი აუნაზღაურდება შემდეგი ოდენობით:

ა) ბათუმის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას - 138 ლარის ოდენობით;
ბ) გორის რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას - 125 ლარის ოდენობით;
გ) ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას - 150 ლარის ოდენობით;
დ) თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას - 144 ლარის ოდენობით;
ე) თელავის რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას - 75 ლარის ოდენობით;
ვ) რუსთავის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას - 82 ლარის ოდენობით;
ზ) ქუთაისის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას - 125 ლარის ოდენობით.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი